ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 134

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.538.718 განკარგულებით გათვალისწინებული ქონების: ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/ლ: №01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით 840 000 (რვაას ორმოცი ათასი) ლარად პრივატიზებაზე, სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროსთან" (ს/კ 201950022) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე